ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №99

30 მაისი 2018წელი ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის დავით წიტაიშვილის სახით. მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №13, ს/ნ 412675396 ტელ: 5-37-00) (შემდგომში „შემსყიდველი“) და

მეორეს მხრივ ფ/პ მიხეილ კაცაძე (პ/ნ #60003006012; მის ქ.ქუთაისი გუნიას ქ #13 (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" #17 ფილიალში მიწის გაჭრის შემდეგ დარჩენილი ნარჩენი მიწის (2 სატვირთო მანქანა) გატანის მომსახურების შესყიდვა. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 312,5(სამასთორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი. საშემოსავლოს ჩათვლით. შემდგომში მომსახურება

კლასიფიკატორის დანაყოფის კოდია 90512000

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

2.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოახდინოს ააიპ ”ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების” #17 ფილიალში ნარჩენი მიწის გატანა.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ შესყიდვების სპეციალისტი გიორგი გვანცელაძე.

4. გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

5.3 ანგარიშსწორების ვადაა: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღე.

5.4 ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 14 ივნისის №366 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაა 5 კალენდარული დღე.

6.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2018 წლის 10 ივლისამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დავით წიტაიშვილი.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

8.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

9.1..1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ

მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

დავით წიტაიშვილი

ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების
გაერთიანების დირექტორი

ს/ნ 412675396
ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3;

(შემსყიდველი)

ფ/პ „მიხეილ კაცაძე“

პ/ნ #60003006012

საქართველოს ბანკი
ა/ა GE48BG0000000580688700
მის:ქ.ქუთაისი გუნიას 13

(მიმწოდებელი)

მიღება-ჩაბარების აქტი

4 ივნისი 2018წელი

ქ.ქუთაისი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ ფ/პ მიხეილ კაცაძე (პ/ნ #60003006012; მის ქ.ქუთაისი გუნიას ქ #13 (შემდგომში „მიმწოდებელი“)

და მეორეს მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება", წარმოდგენილი დირექტორის დავით წიტაიშვილის სახით(ს/ნ 412675396)მის: ქ.ქუთაისი რუსთაველის №3) ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2018 წლის 30 მაისის №99-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, შესყიდვის მოთხოვნის შესაბამისად მოახდინა, ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" #17 ფილიალიდან მოახდინა 2 სატვირთო ავტომობილით მიწის გატანა.

ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 312,5(სამასთორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი. აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

მიხეილ კაცაძე

დავით წიტაიშვილი